გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №სსდ-05-25 **27 ნოემბერი 2025 წელი,**
თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა
შემდეგი შემადგენლობა:

თავმჯდომარე ბადრი შონია (მომხსენებელი),
მოსამართლეები - თეა ძიმისტარაშვილი
ლევან ნემსაძე

სხდომის მდივანი - მ. ჯ.

საჩივრის ავტორი - ადვოკატი ნ. ჯ-ი /სიითი №----/

მოწინააღმდეგე მხარე - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

წარმომადგენელი - თ. ხ-ი

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2025 წლის 11 მარტის №016/24 გადაწყვეტილება

საჩივრის მოთხოვნა - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2025 წლის 11 მარტის №016/24 გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით უდანაშაულიდ ცნობა

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

გასაჩივრებული გადაწყვეტილების შინაარსი:
1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ნ. კ-ა და მოითხოვა ადვოკატ ნ. ჯ--ათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ის 2019 წლიდან იცნობდა ადვოკატ ნ. ჯ-ს, რომელსაც უძრავი ქონების ქირავნობის ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული მის ძმასთან და წარმოადგენდა დამქირავებელს, თუმცა ადვოკატს 2020 წლიდან მომჩივანის ძმისთვის უძრავი ქონების ქირა აღარ გადაუხდია. საჩივრის ავტორის განცხადებით, 2019 წლის აგვისტოში მან მიმართა სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, უძრავი ქონების რეგისტრაციის თაობაზე. 2022 წლის დასაწყისში, აღნიშნულ საქმეში უსასყიდლოდ ჩაერთო ადვოკატი ნ. ჯ-ი, რისთვისაც 2022 წლის 4 მარტს მომჩივანმა ადვოკატს 1 წლის ვადით, სანოტარო წესით გაუფორმა მინდობილობა. საქმის გაცნობის შემდეგ ადვოკატმა ნ. ჯ--მ ურჩია მომჩივანს, არ ემოქმედა სამართლებრივად და დალოდებოდნენ რეფორმის ფარგლებში მიწის ნაკვეთის რეგისტრაციას. შესაბამისად, ამ საქმეში ადვოკატის ჩართულობა საჭირო არ გამხდარა.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2023 წლის 16 იანვარს მას გარდაეცვალა მეუღლე მის სახელზე რეგისტრირებული ავტომანქანა გაასხვისა გარდაცვალებამდე, თუმცა ვერ მოასწრო ავტომობილის ახალი მესაკუთრისთვის გადაფორმება, რის გამოც აუცილებელი გახდა სასამართლოში საქმისწარმოება. სამოქალქო საქმე უკავშირდებოდა მომჩივნის არასრულწლოვანი შვილების თანასაკუთრების უფლებას. აღნიშნულ საქმეში კვლავ უსასყიდლოდ ჩაერთო ადვოკატი ნ. ჯ-ი. საჩივრის ავტორმა დააზუსტა, რომ ადვოკატმა ნ. ჯ-ა მას თავიდანვე მიაწოდა ინფორმაცია სპეციალიზაციაზე. მომჩივნის განმარტებით, იმის გამო, რომ 04.03.2022 წელს გაფომებული მინდობილობის მოქმედების ვადა გასული იყო, 17.10.2023 წელს, ნ. ჯ-ს სანოტარო წესით 2 წლის ვადით თავიდან გაუფორმა მინდობილობა. მას ადვოკატი არწმუნებდა, რომ მისი სახელით მიმართა პირველი ინსტანციის სასამართლოს და სასამართლოში მიმდინარეობდა საქმისწარმოება, თუმცა, საჩივრის ავტორმა მოგვიანებით გაარკვია, რომ 2023 წლის 6 ნოემბერს პირველი ინსტანციის სასამართლომ წარმოებაში არ მიიღო ადვოკატის მიერ წარდგენილი სარჩელი და დოკუმენტები, რის შემდეგაც ადვოკატს სასამართლოსთვის აღარ მიუმართავს. აღნიშნული ინფორმაციის მიღების შემდეგ, საჩივრის ავტორი დაუკავშირდა ადვოკატს, მიაწოდა ინფორმაცია, რომ წყვეტდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას, სთხოვა დაეხია მისთვის სანოტარო წესით გაფორმებული მინდობილობა და მოსთხოვა საქმის მასალების დაბრუნება. რაზეც ადვოკატმა განუცხადა, რომ „უჩივლებდა სასამართლოში ადვოკატის მიმართ გამოჩენილი უპატივცემულობისთვის“ და მიაწოდა ინფორმაცია, რომ საქმის მასალებს მხოლოდ ნოტარიუსის თანდასწრებით გადასცემდა. საჩივრის ავტორმა 25.03.2024 წლის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე დააზუსტა, რომ ადვოკატმა მინდობილობის გარდა, დაუბრუნა სამოქალაქო საქმის ყველა მასალა და განმარტა, რომ მან მიმართა ნოტარიუსს ნ. ჯ-ისათვის გაცემული მინდობილობის გაუქმების მოთხოვნით, თუმცა ნოტარიუსმა შეცდომით გააუქმა 04.03.2022 წელს გაფორმებული მინდობილობა, რომელიც აღარ იყო ძალაში. აღნიშნული გარემოება საჩივრის ავტორისათვის ცნობილი გახდა 15.02.2024 წელს, რის შემდეგაც სანოტარო წესით გააუქმა 17.10.23

წელს გაფორმებული მინდობილობა. საჩივრის ავტორმა 2024 წლის 25 მარტის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე დააზუსტა, რომ მას ადვოკატისთვის არ უცნობებია მინდობილობის გაუქმებაზე.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2024 წლის 8 თებერვალს _ საჩივრის ავტორმა სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო"-სგან მიიღო შეტყობინება მიწის ნაკვეთის რეგისტრაციაზე წარმოების შეჩერების შესახებ. რის შემდეგაც გაარკვია, რომ ადვოკატმა ნ. ჯ-ა მასთან შეთანხმების გარეშე მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოს და მოითხოვა მიწის ნაკვეთის რეგისტრაციაზე წარმოების შეწყვეტა, ვინაიდან „საჩივრის ავტორს აღარ ჰქონდა ინტერესი". გარდა ამისა, 14.02.2024 წელს, იგი დაიბარა შსს მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიციის თანამშრომელმა, სადაც მან შეიტყო, რომ ადვოკატმა ნ. ჯ-მ მის მიმართ პოლიციაში შეიტანა საჩივარი - „ადვოკატის მიმართ გამოჩენილი უპატივცემულობისთვის", რისთვისაც ითხოვდა საჩივრის ავტორისათვის 1500 ლარის დაკისრებას და პოლიციას მიაწოდა ცრუ ინფორმაცია, რომ ნ. კ–ი ყიდდა მისი არასრულწლოვანი შვილების ქონებას. საჩივრის ავტორის განმარტებით, 26.02.2024 წელს მან მიმართა სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო"-ს მიწის ნაკვეთის რეგისტრაციაზე წარმოების გაგრძელების მოთხოვნით, რა დროსაც მისთვის ცნობილი გახდა, რომ ადვოკატმა ნ. ჯ--მ 12.02.2024 წელს, მომჩივნის ინფორმირების გარეშე, კიდევ ერთხელ გამოიყენა მინდობილობა და ადმინისტრაციული ორგანოდან გამოითხოვა საქმის მასალების დედნები. ადვოკატისაგან მომჩივანი ითხოვდა ადმინისტრაციული ორგანოსაგან გამოთხოვილი მიწის საკადასტრო, აზომვითი ნახაზებისა და სიდი დისკის დაბრუნებას რასაც ადვოკატი აღარ უბრუნებდა.

ადვოკატ ნ. ჯ-ს მოსაზრება:

2. ადვოკატის შეფასებით, ნ. კ–ს მიერ წარდგენილი საჩივარი იყო უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი ამდენად არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, ვინაიდან კოლეგიების თავმჯდომარეებმა არასწორად შეაფასეს ფაქტები და გადაამეტეს უფლებამოსილებებს, შესაბამისად უნდა გაუქმებულიყო საპროცესო და განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილებები. ასევე ეთიკის კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, რომ ეთიკის კომისიის თავმჯდომარის წინააღმდეგ მიმართა საგამოძიებო ორგანოს.

2.1 ადვოკატის განმარტებით, ის 2019 წლიდან იცნობს კ–ების ოჯახს, გ. კ-–ი ფლობდა ინფორმაციას, რომ ნ. ჯ-ი იყო ადვოკატი და მან არაერთხელ მიმართა ადვოკატს სამართლებრივი დახმარების მისაღებად. ვინაიდან, მხარეებს აკავშირებდათ მეზობლური ურთიერთობა, გ. კ–ს ზეპირად უთანხმდებოდა საადვოკატო მომსახურების საფასურის გადახდის შესახებ და არაერთხელ გაუწია სამართლებრივი დახმარება, როგორც თავად მას, ასევე მისი ოჯახის წევრებს. გ. კ-–მ ადვოკატს გააცნო მისი და - ნ. კ–ი, რომელსაც ადვოკატის დახმარება სჭირდებოდა, სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში" უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დასარეგისტრირებლად, რისთვისაც ნ. კ–მ ადვოკატ ნ. ჯ-ს 04.03.2022 წელს

სანოტარო წესით გაუფორმა მინდობილობა. გარდა ამისა, ნ. კ–მ სთხოვა დახმარებოდა სასამართლო წესით, არასრულწლოვანთა თანასაკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების განკარგვაზე თანხმობის მისაღებად. ადვოკატის განცხადებით, მან განუმარტა კლიენტს, რომ არ იყო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატი, რის გამოც, სასამართლოში საქმეს ვერ აწარმოებდა და კლიენტს დაეხმარებოდა მხოლოდ საპროცესო დოკუმენტების შედგენასა და სასამართლოში ჩაბარებაში, რასაც ნ. კ-–ი დასთანხმდა. მისივე განმარტებით, კლიენტს მიაწოდა ინფორმაცია, რომ სასამართლოში წარსადგენად აუცილებელი იყო სხვადასხვა დოკუმენტების მოძიება, მათ შორის გასხვისებული სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაზრო ღირებულების შესახებ ცნობები, თუმცა კლიენტი იჩენდა დაუდევრობას და ადვოკატს ან თავად უწევდა დოკუმენტების მოპოვება ან კლიენტი უარს აცხადებდა დოკუმენტების საფასურის გადახდაზე. მისი განმარტებით, 06.11.2023 წელს, თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოიტანა განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ, ვინაიდან მხარემ სასამართლოში არ წარადგინა საქმისწარმოებისათვის აუცილებელი დოკუმენტები, რის შესახებაც ადვოკატმა კლიენტს მიაწოდა ინფორმაცია. კლიენტმა ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაზრო ღირებულების ცნობა ადვოკატს მხოლოდ 2023 წლის ნოემბრის ბოლოს წარუდგინა და რადგან თავად ვერ შეძლო სახელფასო ცნობის შედგენა, აღნიშნულიც ადვოკატს დაავალა. ნ. კ-–ი ხშირად ურეკავდა არასამუშაო დროს და გამოხატავდა აგრესიას მის მიმართ, ამასთან, კომუნიკაციისას ხშირად, ერთვებოდა ადვოკატისათვის უცნობი პიროვნება, რომელიც, როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, წარმოადგენდა ნ. კ–ს ადვოკატს. ადვოკატის პოზიციით, ნ. კ–ს არ სურდა ადვოკატ ნ. ჯ-–ისათვის შეთანხმებული ჰონორარის გადახდა, რის გამოც, ხელოვნურად შექმნა კონფლიქტური გარემო და ადვოკატი იძულებული გახდა, შეეწყვიტა კლიენტის საქმის წარმოება. ამის შემდეგ კი ადვოკატმა ნ. კ-–ს სრულად დაუბრუნა საქმის მასალები.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ის არაერთ საქმეში დაეხმარა ნ. კ-–ს, კერძოდ, აწარმოა მისი სამემკვიდრეო საქმე, დაეხმარა მისი მეუღლის კუთვნილი მობილური ტელეფონის პოვნაში და ჩაერთო - სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში“ მიმდინარე საქმისწარმოებაში. მან ნამდვილად წარადგინა განცხადება სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში ნ. კ–ს სახელით და მოითხოვა სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტა, ვინაიდან თავად კლიენტმა მიაწოდა ინფორმაცია, რომ დაკარგა მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის ინტერესი და აღარ სურდა სარეგისტრაციო წარმოების გაგრძელება. კლიენტმა არც ამ საქმეზე გადაუხადა ადვოკატს ჰონორარი. მისი განცხადებით, ნ. კ-–ს მინდობილობის გაუქმების შესახებ მისთვის ინფორმაცია არ მიუწოდებია და კლიენტისგან არც მოკლე ტექსტური შეტყობინებებით არავითარი ინფორმაცია არ მიუღია. ადმინისტრაციული საქმისწარმოების მასალებთან დაკავშირებით, კი მან არაერთხელ შესთავაზა კლიენტს საქმის მასალების დაბრუნება თუმცა კლიენტი თავს არიდებდა ადვოკატთან შეხვედრას და

საქმის მასალების მიღებას.

3. ეთიკის კომისიის პირველმა დისციპლინურმა კოლეგიამ 2024 წლის 25 მარტს, მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ნ. ჯ--ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

4.ეთიკის კომისიის მეხუთე დისციპლინური კოლეგიის 2024 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილებით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 36-ე მუხლის საფუძველზე, საქმე განსახილველად გადაეცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

5. ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:
ნ. კ–მ ადვოკატ ნ. ჯ-ს მინდობილობა სანოტარო წესით ორჯერ გაუფორმა: თავდაპირველად, 04.03.22 წელს - ერთი წლის ვადით, ხოლო აღნიშნული მინდობილობის ვადის გასვლის შემდეგ, 17.10.23 წელს - ორი წლის ვადით (04.03.22 წლის №220225583 მინდობილობა; 17.10.23 წლის №231453434 მინდობილობა).

5.1 ადვოკატ ნ. ჯ-ს არ ჰქონდა სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და ბავშვთა უფლებების მხრივ.

5.2. ადვოკატთა ასოციაციის ერთიან რეესტრში მითითებული მონაცემები (სიითი N-). ადვოკატი ნ. ჯ--ი აწარმოებდა ნ. კ--ს სამოქალაქო (თბილისის საქალაქო სასამართლოში) და ადმინისტრაციულ (სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში") საქმეებს.

5.3 ნ კ–მ 15.02.24 წელს სანოტარო წესით გააუქმა ადვოკატ ნ. ჯ--ისთვის 17.10.23 წელს გაცემული მინდობილობა №231453434 (15.02.24 წლის სანოტარო აქტი რწმუნებულების გაუქმების შესახებ).

5.4 ადვოკატმა ნ. ჯ--მ სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს" რამდენჯერმე (06.02.24, 06.03.24, 28.05.24) მიმართა ნ. კ–ს სახელით და მიაწოდა შემდეგი ინფორმაცია: ა) „გთხოვთ შეწყვიტოთ ადმინისტრაციული წარმოება, ვინაიდან ჩვენს ინტერესს აღარ წარმოადგენს აღიარებისთვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია, არ გაგვაჩნია უფლებადამდგენი სარეგისტრაციო დოკუმენტი, არ და ვერ ვადასტურებთ ფლობის ფაქტს..." (06.02.2024 წლის განცხადება). ბ) „...ჩემი მონაწილეობით საქმეში (ნ. კ—მ) დაიხმარა ადვოკატი არ გააჩნია არანაირი სარეგისტრაციო უფლებადამდგენი დოკუმენტი უფლების რეგისტრაციისთვის და არაკეთილსინდისიერად ითხოვს სახელმწიფოსგან ქონებაზე საკუთრების უფლებას, მხოლოდ მისი „რეალური ინტერესის" საფუძველზე, რომლის საფუძველიც თაღლითობაა..." (06.03.2024 წლის განცხადება). გ) „გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში მდებარე მიწის ნაკვეთზე მისი (ნ. კ–ს) საკუთრების უფლება იყო

გაყალბებული და კვლავ სიყალბის გამოყენებით ხდებოდა სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის მოთხოვნა სიყალბე მისი ნათესავების მხრიდან ხორციელდებოდა ნ. კ–ს გამოყენებით. ფაქტობრივი სიზუსტე მდგომარეობდა შემდეგში: 2012 წელს განხორციელდა საკუთრების უფლების რეგისტრაცია ნ. კ–ზე სადაც უფლებადამდგენი დოკუმენტია მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი. მასში შეტანილია ყალბი ცნობა და ჩანაწერი, ვინაიდან მიღება-ჩაბარების აქტში მითითებულ პირს - ნ. კ–ს მიწის რეფორმამდე ვერ ექნებოდა საკუთრებაში მიწის ნაკვეთი, ვინაიდან აღნიშნულ პერიოდში ნ. კ–ი იყო არასრულწლოვანი, დაბადებული თბილისში და სწავლობდა თბილისის სკოლაში. ზ/მითითებული საფუძვლით, კვლავ დამატებით 690 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გამოყოფაც, შესაბამისად, უკანო---ა“ (28.05.2024 წლის განცხადება). დ) „კ–ების მიერ კანონსაწინააღმდეგო გზების გამოყენებით უძრავ ნივთზე მიღებული საკუთრების უფლების საფუძველზე, კვლავ სიყალბის გამოყენების გზებით ცდილობს ნ. კ–ი, მიიტაცოს მოსაზღვრედ მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი“ (28.05.2024 წლის განცხადება). ე) „ნ. კ–მ, თავისი თაღლითური ბუნებიდან გამომდინარე, მითითებულ საქმეში ჯერ შემაწყვეტინა წარმოება, შემდეგ, მის წინააღმდეგ საჩივრები წარადგინა... პოლიციის განყოფილებაში. თაღლითურად უარყო ჩემთან შეთანხმება, ესეც არ იკმარა, ფულის გამოძალვის მიზნით, პოლიციის განყოფილებაში წერილობით მოითხოვა საჯარო რეესტრში გადახდილი... თანხის ანაზღაურება რაც დააგვირგვინა მორალური ზიანის ანაზღაურებით და მოითხოვა 2000 ლარის გადახდა“ (28.05.2024 წლის განცხადება). (ადვოკატ ნ. ჯ-ს მიერ სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ 06.02.24 წელს წარდგენილი განცხადება, ადვოკატ ნ. ჯ-ს მიერ სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ 06.03.24 წელს წარდგენილი განცხადება, ადვოკატ ნ. ჯ-ს მიერ სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ 28.05.24 წელს წარდგენილი განცხადება).

5.5 ადვოკატმა ნ. ჯ--მ სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ წარდგენილ განცხადებაში დაწერა, რომ სამართალდამცავ ორგანოში წარადგინა საჩივარი ნ. კ–ს წინააღმდეგ. კერძოდ, განცხადებაში მითითებულია, რომ „ნ. კ-ის კანონსაწინააღმდეგო ქმედებებზე - ფულის გამოძალვის მცდელობაზე - 2012 წლის გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში ნ. კ–ს საკუთრების უფლების უკანონო რეგისტრაციაზე, უფლებადამდგენ დოკუმენტში (მიღება-ჩაბარების აქტში) შეტანილი ყალბი ცნობებისა და ჩანაწერების საფუძველზე, უკანონო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მოსაზღვრედ მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული ქონების უკანონო მიტაცების მცდელობაზე წარდგენილი მაქვს საჩივარი სამართალდამცავ ორგანოში რეაგირებისთვის“. (ადვოკატ ნ. ჯ--ს მიერ სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ 28.05.24 წელს წარდგენილი განცხადება.)

5.6 ადვოკატმა ნ. ჯ--მ, კლიენტთან შეთანხმების გარეშე, საჯარო რეესტრიდან გამოითხოვა და კლიენტს არ დაუბრუნა ადმინისტრაციული საქმის მასალები (დედნები): საკადასტრო, აზომვითი ნახაზები და საჯარო რეესტრიდან მიღებული

სიდი დისკი.

5.7 ნ. ჯ--ს ნ. კ–ისათვის არ დაუბრუნებია ადმინისტრაციული საქმის მასალები. (ნ. კ–ს მიერ სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ 26.02.24 წელს წარდგენილი განცხადება; სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მიერ ადვოკატ ნ. ჯ--ისთვის გაგზავნილი №33812 წერილი).

5.8 ადვოკატმა ნ. ჯ—მ კლიენტს მიაწოდა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ არასრულწლოვნის საქმეზე მუშაობის სპეციალიზაცია არ გააჩნდა.

6. საქართველოს ადვიკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2025 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებით დადგინდა ადვოკატ ნ. ჯ--ს მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა. კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატ ნ. ჯ--ს მიერ დარღვეულია კლიენტის მითითების შესაბამისად მოქმედების, კლიენტის ინტერესების უპირატესობის, კეთილსინდისიერების, კვალიფიციური წარმომადგენლობის, კლიენტის ინფორმირებისა და კონფიდენციალობის ეთიკური ვალდებულებები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები: 5.ა; 4.1, 4.2, 6.2, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლები: 5, 8.2, 8.5, 8.6, 7.1.ა,ბ). და ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განუსაზღვრა გაფრთხილება.

7. 2025 წლის 11 მარტის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრების: კ. გ—ს, ა. ლ--ს, ა. ხ-ს, ე. გ-ს, ს. ს-ს, ო. კ-სა და ა. კ–ს - განსხვავებული მოსაზრებით, ნ. ჯ-ის მიმართ, ნაცვლად გაფრთხილებისა, უნდა გამოყენებულიყო უფრო მკაცრი პასუხისმგებლობა - საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება, რომელიც იქნებოდა მოპასუხე ადვოკატის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომების პროპორციული, რადგან გაფრთხილება არ იყო თანაზომიერი ადვოკატის მიერ ჩადენილ გადაცდომებთან მიმართებით და არ შეესაბამებოდა ეთიკის კომისიისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პლატის არსებულ პრაქტიკას.

8. 2025 წლის 11 მარტის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრის - მ. ნ--ს - განსხვავებული აზრით, „ადვოკატთა ასოციაციის დებულების 35-ე მუხლის მე-2 პუნქტით, მე-2 მუხლის მე-5 პუნქტითა და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტით ადვოკატ ნ. ჯ-ის მიმართ გამოყენებული უნდა ყოფილიყო დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათის სახით.

ადვოკატის საჩივრის მოთხოვნა და საფუძვლები:
9 . საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2025 წლის 11 მარტის №016/24 გადაწყვეტილება კანონით დადგენილ ვადის დაცვით, გაასაჩივრა ადვოკატმა ნ. ჯ-მ და მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება და უდანაშაულიდ

ცნობა.

9.1. ადვოკატ ნ. ჯ-ის განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიღებულია კანონის დარღვევებით, რაც მისი გაუქმების საფუძველია, შემდეგ ფაქტობრივ გარემოებათა გამო: საქ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილებითა და კლიენტის მიერ მის მიმართ გაცემული მინდობილობების (რეგ. №220225583 (04.03.2023 წ.); რეგ. №231453434 (17.10.2023 წ.)) საფუძველზე, კლიენტმა მიიღო შესაბამისი მომსახურება როგორც ადმინისტრაციულ, ისე - სამოქალაქო სამართლის დარგში. ყველა მოცემული დავალება შესრულებული იყო კლიენტის ინტერესებისა და მასთან შეთანხმებული წესის გათვალისწინებით.

9.2. ადვიკატის განმარტებით, ნ. კ–სა და მის ნაცნობ მამაკაცს, რ. ნ-ს 2023 წლის 17 ოქტომბერს სანოტარო ბიუროში დაეხმარა - ნივთის გასხვისებისთვის თანხმობის ტექსტის შედგენაში. ნ. კ–მ საკმარისად მიიჩნია სამკვიდრო მოწმობა რეგ. №230955573, ცნობა №3044089224932295 სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ და სთხოვა, არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე, სასამართლოში წარსადგენად შეედგინა განცხადება, ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის შესახებ. რაზედაც მან განუმარტა, რომ საჭირო იყო სხვა დოკუმენტაციის მომზადება, რაზეც კლიენტმა განუხცხადა უარი, შესაბამისად მის ხელთ არსებული დოკუმენტაციით შეადგინა მოთხოვნილი განცხადება. განცხადება წაიკითხა ნ. კ-–მ, მოიწონა, დაეთანხმა და ამის დასტურად მოაწერა ხელი. 2023 წლის 01 ნოემბერს წარადგინა განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, რეგისტრაციის ნომერი და თარიღი კი სატელეფონო შეტყობინებით აცნობა ნ. კ-–ს. ამავდროულად განუმარტა, რომ სასამართლო იმსჯელებდა წარდგენილ განცხადებაზე. მათვის ცნობილი გახდა განჩინება განცხადების განსახილველად მიღებაზე უარის თქმის შესახებ. (საქმე №2/30439-239). აღნიშნულზე კლიენტს განუმარტა განჩინების შინაარსი და მოთხოვნა; შეთანხმდნენ, წარედგინათ განჩინებაში მითითებული დოკუმენტაცია. დაიწყო მუშაობა განცხადების შესადგენად 2023 წლის 23 დეკემბერს კი, საღამოს საათებში კლიენტმა დაიწყო საქმესთან დაკავშირებული სრულიად შეუსაბამო შინაარსის შეტყობინებების გაგზავნა. სწორედ ამ პერიოდში კლიენტთან სატელეფონო საუბრებში უხეშად ერთვებოდა უცნობი ქალბატონი, მიხვდა, რომ იყო ადვოკატი, თუმცა ვინაობა არ გაუმხელია „როგორც შემდგომ გავარკვიე, იყო ადვოკატი მ. უ-–ი“, რომელიც ბოროტად და არაკეთილსინდისიერად ცდილობდა, თავისი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სპეციალიზაციით ეჭვქვეშ დაეყენებინა მის მიერ გაწეული შრომა და ამით კლიენტზე დადებითი შთაბეჭდილება მოეხდინა.

9.3. საჩივრის ავტორის განმარტებით, საჯარო რეესტრში მიწის ნაკვეთზე მიმდინარე სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ განცხადება წარადგინა, კლიენტთან შეთანხმებული წესის საფუძველზე. კერძოდ: კლიენტმა საქმის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დროს განემარტა, რომ სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული

მიწის ნაკვეთი, რომელიც მოთხოვნილი ჰქონდა აღიარების წესით ემიჯნებოდა მის საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს, რომლის უფლებადამდგენი დოკუმენტია მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი №6066 (10.05.1996 წ.) აღნიშნულ დოკუმენტში შეტანილი იყო ყალბი ცნობა და ჩანაწერი, ვინაიდან მიღება-ჩაბარების აქტში მითითებულ ნ. ა--ს ასულ კ-–ს მიწის რეფორმამდე ვერ ექნებოდა საკუთრებაში გარდაბნის მუნიციპალიტეტში 600 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რადგან აღნიშნულ პერიოდში იგი იყო მცირეწლოვანი. მიმდინარე სარეგისტრაციო საქმის წარმოებისას კლიენტისათვის ცნობილი გახდა, რომ საჯარო რეესტრი იკვლევდა მისი დაბადების თარიღის მიხედვით მარტყოფის მუნიციპალიტეტში რაიმე სახის ჩანაწერის არსებობას. შესაბამისად კლიენტი ეჭვობდა, რომ შეიძლება გამჟღავნებულიყო გაყალბებული საკუთრების უფლება რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე. ვინაიდან კლიენტის მამა, ა. (ა–ა) კ–ი, ცდილობდა აღიარების კომისიაში მიეყვანა ცრუმოწმეები. ამიტომ მისი უპირატესი ინტერესების დასაცავად, კანონიერი გზის გამოყენებით, შეთანხმდნენ, საჯარო რეესტრში წარედგინა განცხადება სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტისა და ჩაბარებული საკადასტრო აზომვითი ნახაზის გამოთხოვის შესახებ. საჯარო რეესტრში მიმდინარე სარეგისტრაციო საქმეზე კლიენტთან შეთანხმებული წესის მიხედვით, განცხადება ჩააბარა პირადად, ხოლო მასზე მომზადეული პასუხები საჯარო რეესტრიდან შეტყობინებებით იგზავნებოდა ნ. კ–ს მობილურ ტელეფონზე, რის შესახებაც ატყობინებდა კლიენტი და რის შემდეგაც აგრძელებდა საჭირო ქმედებებს.

9.4. ადვოკატის მოსაზრებით, აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები ბოროტად გარდაქმნა ადვოკატმა მ. უ–მ და ნ. კ–ს, ერთიმეორის მიყოლებით მის წინააღმდეგ ზღვარგადასული სიძულვილით მოუმზადა საჩივრები საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, პოლიციის განყოფილებასა და ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში. სწორედ ეთიკის კომისიაში გამოვლინდა კომისიის თავმჯდომარის, კ--ე გ-ს ბოროტი თანამზრახველობა ადვოკატ მ. უ-–თან. რაც დადასტურდა ადვოკატთა ასოციაციაში წარდგენილი მისი საჩივრით ადვოკატის, მ. უ–ს (ს/ნ 0651) მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე. რაზეც ადვოკატმა საჩივარზე წარმოდგენილი ახსნა-განმარტებით დაადასტურა ნ. კ-–თან 2023 წლის დეკემბრიდან დაწყებული კომუნიკაცია. ყოველივე ზ/აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებაზე ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ - კ. გ-–მ, მომჩივნის მხრიდან შესაძლო სარგებლის მიღების გამო, პირადად დაინტერესებულმა, ბოროტად და კანონის უხეშად დარღვევებით იმოქმედა მის წინააღმდეგ.

9.5 საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ სამსახურებრივი უფლებამოსილების ჯეროვნად შეუსრულებლობითა და სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტებით, განახორციელეს უკანონო ქმედებები და მიიღეს უკანონო გადაწყვეტილება, რაც გამოიხატა: საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის პირველი ნაწილით „სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო კონტროლის,

მართლმსაჯულებისა და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით“. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით: „სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისთვის მთელ ტერიტორიაზე“. საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-5 ნაწილით: „სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით“. მხოლოდ აღნიშნული ნორმის საწინააღმდეგოდ იმოქმედა პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობამ, კ. გ-ს თავმჯდომარეობით. 2024 წლის 25 მარტს მათ მიიღეს გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. მისი სამოქალაქო დარგის სპეციალიზაციით, კლიენტისთვის მომზადებული საჯარო ხასიათის დოკუმენტაციის მომზადება კ. გ–მ და მისმა თანამზრახველებმა მითითებული განჩინების საწინააღმდეგოდ, კანონის დარღვევად ჩაუთვალეს და მიღებული გადაწყვეტილების სამართლებრივ შეფასებაში, განჩინების საწინააღმდეგოდ განმარტეს, ერთი მხრივ პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობამ სასამართლო განჩინებით (საქმე №2/30439-236) არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება გაამართლეს, და მეორე მხრივ, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინების „რევიზიის“ ჩატარებით, ფაქტიურად, „მოსამართლეს ანგარიში მოსთხოვეს კონკრეტულ განხილულ საქმეზე და დაადასტურეს, რომ „ადვოკატმა ნ. ჯ--მ არ მიაწოდა ინფორმაცია, რომ ის არ იყო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატი და სასამართლომ წარმოებაში არ მიიღო ადვოკატის მიერ შედგენილი სარჩელი (გადაწყვ. გვ. 8). ეთიკის კომისიის თავმჯდომარე კ. გ–მ, შელახა კონსტიტუციური ნორმა, შელახა მისი პროფესიული რეპუტაცია, საქმისწარმოების დროს მიღებულ გადაწყვეტილებაში ფაქტები ყალბად დაამახინჯა და წერილობით ახსნა-განმარტებაში სიტყვები თვითნებურად შეცვალა. ამასთანავე, მიღებული გადაწყვეტილების მე-4 გვ. დაწერეს, რომ „ადვოკატი იძულებული _ გახდა, შეეწყვიტა კლიენტის საქმის წარმოება, რის შემდეგაც ადვოკატმა ნ. ჯ-მ ნ. კ–ს სრულად დაუბრუნა სასამართლო საქმის მასალები“. „იძულებითი შეწყვეტა“ არც ფაქტობრივად ყოფილა და არც მის ახსნა-განმარტებაში წერია. საპროცესო კოლეგიამ „იძულებითი შეწყვეტა“ გამოიყენა იმისთვის, რომ კლიენტსა და ადვოკატს შორის ურთიერთობა წარმოჩენილიყო კონფლიქტად.

9.6 ადვოკატის განმარტებით, დისციპლინურ საქმეზე განხილვის კოლეგიამ, ა. ლ--ს თავმჯდომარეობით, დაწერა გაცხადებული სიყალბე (შეგნებული სიცრუე), როგორც სინამდვილესთან არსებითად შეუსაბამო, მცდარი ფაქტი, იმის თაობაზე, თითქოს მისმა კლიენტმა - ნ. კ-–მ, არასრულწლოვანი შვილების ინტერესების დაცვის მიზნით, გასცა მინდობილობა მის სახელზე (04.03.2022 წ., რეგ. №220225583). საჯარო რეესტრში პროექტის ფარგლებში თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთის რეგისტრაციისთვის პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის ა. ლ--მ მოგონილი ტყუილებით დაუშვა ის, რაც საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო პრაქტიკაში არ არსებობს და არც კანონით დაწესებულა. არ არსებობს რეგისტრაციის პროცესში არასრულწლოვანი შვილების მიწვევა ან საქმის წარმოებაში მათი ჩართვა, რითაც

ბოროტად იცრუა მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობამ, მის საპირწონედ მიღებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ბოროტივე ზრახვებით განსაზღვრეს მის მიმართ მკაცრი დისციპლინური სახდელის სახე და, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით, დისციპლინური საქმე №016/24 განსახილველად გადასცეს ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

9.7 საჩივრის ავტორის მოსაზრებით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2025 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება საქმე №016/24 არის უკანონო და დაუსაბუთებელი, რის გამოც, უნდა გაუქმდეს შემდეგი საფუძვლებით: გასაჩივრებული გადაწყვეტილება ეთიკის კომისიის მიერ მიკერძოებულად და ყალბი ფაქტებით იქნა გადაწყვეტილი. გადაწყვეტილების მიღებას საფუძვლად დაედო ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომლებიც კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელეს ეთიკის კომისიის პირველი და მეხუთე დისციპლინური კოლეგიის წევრებმა. მათი ქმედება არის ბოროტი ანგარიშსწორება მის მიმართ და არა - მართლმსაჯულების ინტერესების დაცვა. 2025 წლის 11 მარტის №016/24 გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ეთიკის კომისიამ აშკარა მიკერძოებით გააკეთა საჯარო რეესტრში განცხადებების ჩამონათვალი, რომელიც დათარიღებულია 2024 წლის 27 თებერვლით. სწორედ ამ პერიოდიდან აქცია ადვოკატმა მ. უ-–მ ნ. კ-–ი პროცესუალურად მოწინააღმდეგე მხარედ.

9.8 ადვოკატის განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილით „ადმინისტაციული ორგანო ვალდებულია, თავისი უფლებამოსილება განახორციელოს მიუკერძოებლად“. ამავე მუხლის მეორე ნაწილით „ადმინისტრაციულ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობა მიიღოს თანამდებობის პირმა, რომელსაც აქვს პირადი ინტერესი, ანდა არსებობს სხვა გარემოება, რომელიც ზეგავლენას მოახდენს საქმის გადაწყვეტაზე“. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდების ზოგადი დებულების პირველი თავით „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი“. ამავე დებულების მეორე თავის მე-5 მუხლით განსაზღვრულია ასოციაციის მიზნები და ფუნქციები; ამავე მუხლის 5.1 ნაწილით „საქართველოში მართლმსაჯულების განხორციელებისა და კანონის უზენაესობის განმტკიცების ხელშეწყობაა“. დისციპლინური სამართალწარმოების წესით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით. სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისია, როგორც კლიენტზე ორიენტირებული მოდელი, განიხილავს მხოლოდ ადვოკატის მიმართ შემოსულ საჩივარს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქმისმწარმოებელმა პირებმა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარეს მისთვის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი რაიმე უპირატესობა მიანიჭონ. მოცემულ შემთხვევაში ეთიკის კომისიის _ საპროცესო და განხილვის კოლეგიებმა საქმე წარმართეს მომჩივანი მხარის მიმართ მიკერძოებით; უკანონო ქმედებებით მიღებულ

გადაწყვეტილებებში ფაქტები გააყალბეს, მის მიმართ გაავრცელეს სინამდვილესთან არსებითად შეუსაბამო ყალბი ინფორმაციების შემცველი ცნობები, რომლებიც სამართლებრივ შეფასებებში არგუმენტებად წარმოაჩინეს იმ მიზნის მისაღწევად, რათა შუალედური რგოლის გამოყენებით დისკრიმინაციული ზომების გამოყენება განესაზღვრათ; დააბრალეს ისეთი ფაქტები, რომლებმაც ზიანიც კი ვერ წარმოშვა. ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას უხეშად დაარღვია ადვოკატთა დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-11 მუხლი, რომლითაც განსაზღვრულია დისციპლინურ წარმოებაში მონაწილეობის დაუშვებლობა. ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ მის წინააღმდეგ უკანონოდ აღძრა დისციპლინური საქმე, უკანონოდ დააკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და გამოყენებული სახდელი.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის პოზიცია:

10. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელმა გაიზიარა №016/24 დისციპლინურ საქმეზე ეთიკის კომისიის 2025 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება, როგორც სამართლებრივი დასაბუთების, ასევე - გამოყენებული სახდელის ნაწილში და ადვოკატის საჩივრის უარყოფა მოითხოვა.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ:

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის არსებითად განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ ადვოკატ ნ. ჯ-ს საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2025 წლის 11 მარტის №016/24 გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

12. სადისციპლინო პალატა უპირველესად განმარტავს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[59] მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სადისციპლინო პალატა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებას ამოწმებს საჩივრის ფარგლებში, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი და დაკისრებული სახდელის სამართლიანობის თვალსაზრისით. შესაბამისად, სადისციპლინო პალატა საჩივრის ავტორს მის მიერ განხორციელებული შედავების გათვალისწინებით, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის რელევანტურობას განუმარტავს.

13. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის ძირითადი პრეტენზია იმ გარემოებას შეეხება, რომ ეთიკის კომისიამ დაადგინა მის მიერ კლიენტის მითითების შესაბამისად მოქმედების, კლიენტის ინტერესების უპირატესობის, კეთილსინდისიერების, კვალიფიციური წარმომადგენლობის, კლიენტის ინფორმირების, კონფიდენციალობისა და საქმის მასალების დაბრუნების ეთიკური ვალდებულების დარღვევა, რაც უსაფუძვლოა, ვინაიდან პროფესიული ეთიკისა და კანონის რეგულაციის შესაბამისად, კლიენტის ინტერესების დაცვის ვალდებულებით განახორციელა კლიენტისთვის საჭირო დოკუმენტაციის სრულყოფილად მომზადება, ადმინისტრაციულ ორგანოში საქმის წარმოებისას, მოსალოდნელი საფრთხეების კლიენტისთვის არიდება, ადმინისტრაციულ ორგანოში საქმის მიმდინარეობისას ცრუმოწმეების მიყვანისაგან კლიენტის აცილება და სხვა ინტერესებთან მიმართებით კლიენტის უპირატესი ინტერესების დაცვა. კლიენტთან შეთანხმებული წესითა და კანონმდებლობასთან შესაბამისობით მისი მოქმედებებით კლიენტმა მიიღო სიკეთე და არა ზიანი. შესარულა პროფესიული მოვალეობა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 და მე-9 მუხლების მოთხოვნათა დაცვით, შესაბამისად ეთიკის კომისიამ მის წინააღმდეგ უკანონოდ აღძრა საქმე, უკანონოდ დააკისრა დისციპლინური პსაუხისმგებლობა და გამოყენებული სახდელი.

14. **შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, სადისციპლინო პალატის მსჯელობის საგანს წარმოადგენს ეთიკის კომისიის მიერ ადვოკატის მიმართ შეფარდებული სახდელის - გაფრთხილების მართლზომიერება. ამ მხრივ კი, შეფასების საგანს წარმოადგენს სადავო შემთხვევაში ჰქონდა თუ არა ადგილი, ადვოკატის მიერ კლიენტის მითითების შესაბამისად მოქმედების, კლიენტის ინტერესების უპირატესობის, კეთილსინდისიერების, კლიენტის ინფორმირების, კონფიდენციალობისა და საქმის მასალების დაბრუნების ვალდებულების დარღვევას.**

15. *სადისციპლინო პალატა მიუთითებს დისციპლინური გადაცდომის მაკვალიფიცირებელ სამართლებრივ ნორმებზე. კერძოდ: „ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები.“ („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5 (ა)); „ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მის საქმის წარმოებასთან,“ („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2), „ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად“ („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 7 (ა)) „ადვოკატი ვალდებულია კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაამჟღავნოს საადვოკატო საქმიანობის განხორციებების პროცესში მისგან მიღებული ან/და მის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია (კონფიდენციალური ინფორმაცია;“ („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 7 (ბ)), „ინფორმაცია რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი*

ვალდებულია, დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით. (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 4.1), „ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა." (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 5), „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ" (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6). „კლიენტის ინტერესების დავის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსაგან, ორგანოდსაგან ან პირისაგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში" (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15).

16. სადისციპლინო პალატის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია სადავო საკითხის გადასაწყვეტად არსებითი მნიშვნელობის მქონე უდავო ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა სისწორეში ეჭვის შეტანის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. შესაბამისად, სადისციპლინო პალატა დადასტურებულად მიიჩნევს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ დადგენილ, წინამდებარე გადაწყვეტილება 5.-5.8 პუნქტში მითითებულ უდავო ფაქტობრივ გარემოებებს.

17. უპირველეს ყოვლისა, სადისციპლინო პალატა მიუთითებს, რომ ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტთან შეთანხმების, მისი მითითებებისა და ინტერესების შესაბამისად და არ განახორციელოს ისეთი მოქმედება, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს როგორც კლიენტის ინტერესებს, ასევე - ადვოკატის პროფესიას და როლს საზოგადოებაში.

18. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში; ამავე კანონის მე-5 მუხლის თანახმად, ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები და ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები. რაც, პირველ რიგში, გულისხმობს ადვოკატის ვალდებულებას კლიენტის წინაშე მის მიერ ნაკისრ მოვალეობებს მოეკიდოს სათანადო გულისხმიერებით, კერძოდ, კლიენტის უფლებების დაცვისა და რეალიზებისათვის იზრუნოს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ პირობებში მყოფი მისი პროფესიის მქონე ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და იმოქმედოს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება

ყველაზე ხელსაყრელია კლიენტისათვის *(იხ. სუსგ საქმე №ას-835-801-2016, 30 ნოემბერი, 2016 წელი).*

19. ამასთან, „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-3 მუხლის თანახმად კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობასა და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა. სადისციპლინო პალატამ, №სპ-09-17 საქმეზე განმარტა, რომ ადვოკატი უნდა იყოს კლიენტის მრჩეველი და წარმომადგენელი, ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მიცემული რჩევა და განხორციელებული წარმომადგენლობა შესაბამისობაში უნდა იყოს კლიენტის ინტერესებთან და მიზნად უნდა ისახავდეს კლიენტის ინტერესების დაცვას, კლიენტის ინტერესებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ადვოკატმა უნდა მიიღოს კლიენტთან შეთანხმებით და არა ერთპიროვნულად, ადვოკატის მიერ კლიენტის სახელით გაკეთებული განცხადებები მესამე პირების მიერ განიხილება როგორც კლიენტის ნების გამოვლენა და როგორც წესი, ეჭვქვეშ არ დგება ადვოკატის საიმედოობა და კეთილსინდისიერება.

20. განსახილველ შემთხვევაში, სადისციპლინო პალატა იზიარებს ადვოკატთა ასიციაციის ეთიკის კომისიის მსჯელობას იმის შესახებ, რომ ადვოკატის მიერ ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილი განცხადებები, რომელიც შეიცავდა კონფიდენციალურ ინფორმაციას, ვერ მიიჩნევა კლიენტის ინტერესების სასარგებლო მოქმედებად, ვინაიდან თავისი შინარსითა და შესაძლო სამართლებრივი შედეგების გათვალისწინებით მიმართული იყო კლიენტის ინტერერსების საზიანოდ. ადვოკატი მოქმედებდა არაკეთილსინდისიერად, მაშინ, როდესაც იმოქმედა კლიენტის მითითებისა და ინტერესების საწინააღმდეგოდ, არ მიაწოდა კლიენტს ინფორმაცია მის მიერ განხორციელებულ მოქმედებაზე. ადვოკატისათვის, როგორც სპეციალური ცოდნისა და უნარების მქონე პირისათვის, კარგად იყო ცნობილი, თუ რა თანმდევი შედეგები მოჰყვებოდა მის ქმედებებს. სადისციპლინო პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმაზე, რომ ადვოკატ-კლიენტის **ურთიერთობის საწყისი წინაპირობაა, კლიენტის წინაშე ადვოკატების ერთგულების ვალდებულების არსებობა. ერთგულების ვალდებულება მოიცავს კლიენტისადმი ერთგულების, მისი ინტერესების პრიორიტეტულობის, კონფიდენციალურობის ეთიკური ვალდებულება.** პალატა მიუთითებს საჯარო რეესტრში წარდგენილი განცხადების შინაარზე, **რომელიც ერთმნიშვნელოვნად არღვევდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს, რომლის შესაბამისად ადვოკატი ვალდებული იყო პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, იმგვარად დაეცვა კონფიდენციალური ინფორმაცია, რომ ხელმისაწვდომი არ გამხდარიყო მესამე პირებისათვის, მოცემულ შემთხვევაში კი ადვოკატმა არა თუ დაიცვა კონფიდენციალური ინფორმაცია, არამედ იმოქმედა არაკეთილსინდისიერად და საჯარო რეესტრში წარდგენილ განცხადებაში**

(წინამდებარე გადაწყვეტილება 5.4-5.5 პუნქტში მითითებული) **კონკრეტული გარემოებების მითითებით, გაამჟღავნა ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან, ეს გამოიყენა კლიენტის ინტერესების საზიანოდ და მოითხოვა მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა,** მაშინ, როდესაც კლიენტი ენდობოდა ადვოკატს და მას, როგორც სპეციალური ცოდნის მქონე პირს, უზიარებდა განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ინფორმაციას. ადვოკატი ვალდებული იყო დაეცვა კლიენტისაგან მიღებული ინფორმაცია და არ გაემჟღავნებინა იგი.

21. სადისციპლინო პალატა ასევე იზიარებს ეთიკის კომისიის შეფასებას მასზე, რომ ადმინისტრაციული საქმის მასალების დაუბრუნებლობით, ადვოკატმა დაარღვია კლიენტისათვის საქმის მასალების დაბრუნების ეთიკური ვალდებულება. სადისციპლინო პალატა მიუთითებს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 პუნქტზე, რომლის თანახმად, კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსაგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისაგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში, ამდენად, საადვოკატო მომსახურების გაწევის შეწყვეტა წარმოშობს ადვიკატის ვალდებულებას, სრულად და გონივრული ვადის დაცვით დაუბრუნოს კლიენტს საქმის - წარმოების ფარგლებში მიღებული დოკუმენტები. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ადვოკატმა კლიენტს არ დაუბრუნა ადმინისტრაციული საქმის მასალები (ადვოკატმა სხდომაზე დაადასტურა, რომ დღემდე დაბრუნებული არ აქვს საქმის მასალები, (საკადასტრო, აზომვითი ნახაზი და საჯარო რეესტრიდან მიღებული CD დისკი)), შესაბამისად სადისციპლინო პალატა დადასტურებულად მიიჩნევს საჩივრის ავტორის მიერ საქმის მასალების დაბრუნების ეთიკური ვალდებულების დარღვევას (სსდ-07-21).

22. საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილია დამატებითი მოსაზრება მასზე, რომ ადვოკატთა დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 11 მუხლის შესაბამისად, ეთიკის კომისიის 6 წევრს არ უნდა მიეღო მონაწილეობა საქმის განხილვაში, ვინაიდან საქმე აწარმოეს მიკერძოებით და გაავრცელეს სინამდვილესთან შეუსაბამო ფაქტები. სადისციპლინო პალატა განმარტავს, რომ აღნიშნული არგუმენტი მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს, რადგან „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დისციპლინური წარმოების მონაწილე მხარემ უნდა წარადგინოს განცხადება აცილების შესახებ 5 დღის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა გარემოება, რომელიც იძლეოდა ეთიკის კომისიის წევრის ან დისციპლინური კოლეგიის წევრის აცილების საფუძველს. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატ ნ. ჯ-ს არ უსარგებლია დებულებით გათვალისწინებული უფლებით და არ მიუმართავს ეთიკის კომისიისთვის შუამდგომლობით ე. გ-ს, ე. მ--ს, ო. კ-ს, კ. გ–-სა და ა. ლ-ს აცილების

შესახებ, ამრიგად, საჩივრის ავტორის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას პალატა უსაფუძვლოდ მიიჩნევს.

23. **ადვოკატის პრეტენზია ასევე ეხება ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაუნარიანობის უფლებამოსილებას. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, გაფრთხილებაზე თანხმობა განაცხადა 11-დან მხოლოდ 3-მა კომისიის წევრმა, განსხვავებული მოსაზრება წარადგინა 7-მა წევრმა, რომლებმაც საადვოკატო საქმიანობის უფლებამოსილების შეჩერება მოითხოვეს, ხოლო 1 წევრის მიერ წარდგენილი განსხვავებული აზრით, ადვოკატის მიმართ გამოყენებული უნდა ყოფილიყო დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა. აღნიშნული განსხვავებული მოსაზრებები საჩივრის ავტორის განმარტებით ცხადყოფს, რომ კომისიამ ვერ შეძლო ჯამურად 10 წევრის ხმების დაგროვება.** „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადვოკატისათვის დისციპლინური სახდელის დადების საკითხს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია თავის სხდომაზე განიხილავს კოლეგიურად, 3 წევრის შემადგენლობით, ხოლო გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. ადვოკატისათვის საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევის ან ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტის საკითხს ეთიკის კომისია განიხილავს არანაკლებ 10 წევრის შემადგენლობით. აღნიშნულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მისაღებად საჭიროა ეთიკის კომისიის არანაკლებ 8 წევრის ხმა. სადისციპლინო პალატა მიუთითებს „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 39-ე მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის თანახმად, ეთიკის კომისიამ დისციპლინური საქმე უნდა განიხილოს არანაკლებ 10 წევრის მონაწილეობით, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება არანაკლებ 8 წევრის მიერ. მოცემულ შემთხვევაში არ გამოიყენება ამ დებულების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტით დადგენილი საპროცესო კოლეგიის წევრებზე მონაწილეობის შეზღუდვა. ასევე, განსხვავებული აზრის არსებობის შემთხვევაში, იგი დაერთვის გადაწყვეტილებას. დამატებით, მეტი სიცხადისთვის, სადისციპლინო პალატა შედარებისთვის მიუთითებს „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, „საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლება აქვს გადაწყვეტილების მიღებისას ჰქონდეს განსხვავებული ან თანმხვედრი აზრი, რომელიც დგება წერილობითი ფორმით.“ აღნიშნული ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტებით ცალსახაა, შორისდებული „ან“ სწორედ ამ ორი ინსტიტუტის გამიჯვნაზე და განსხვავებულობაზე მეტყველებს, შესაბამისად, მათ განსხვავებული სამართლებრივი შედეგები აქვთ. აღნიშნული ასევე დადასტურებულია მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა მიერ თანმხვედრი აზრის გამოყენების პრაქტიკითაც, რომელთა ანალიზიც ცხადყოფს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის თანმხვედრი აზრი არ გულისხმობს ძირითადი გადაწყვეტილებისგან განსხვავებულ აზრს (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო

სასამართლოს წევრის ევა გოცირიძის თანმხვედრი აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის N1/1/811 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის თეიმურაზ ტუღუშის თანმხვედრი აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 27 იანვრის №3/1/1473 საოქმო ჩანაწერთან დაკავშირებით). „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 35-ე მუხლის მეორე, ასევე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტები ცალსახად განსაზღვრავს ეთიკის კომისიის წევრების უფლებამოსილებას - არ გაიზიარონ კომისიის უმრავლესობის მოსაზრება მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგთან დაკავშირებით და დაწერონ განსხვავებული აზრი. შესაბამისად, განსხვავებული აზრი გულისხმობს კომისიის წევრთა განსხვავებულ მიდგომას, დამოკიდებულებას, **შედეგს კონკრეტული საქმის მიმართ,** რაც წინააღმდეგობრივია ძირითადი გადაწყვეტილებისგან.

24. სადისციპლინო პალატის მოსაზრებით, სპეციალური დებულება განსაზღვრავს კომისიის გადაწყვეტილებაუნარიანობას (10 წევრი) და კვორუმს (8 წევრი), ამიტომ დანაწესის (39-ე მუხლის მე-3 პუნქტის) უკუდასკვნიდან გამომდინარე, თუ ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი გავა კენჭისყრაზე და კვორუმი ვერ დაკმაყოფილდება, პასუხისმგებლობა არ დადგება. მოცემულ შემთხვევაში გადაწყვეტილების შედეგს დათანხმდა კომისიის ყველა წევრი, ხოლო დისციპლინურ სახდელთან დაკავშირებით კომისიის წევრებმა გამოთქვეს განსხვავებული მოსაზრება. აღნიშნულის დასტურია გადაწყვეტილებაზე დართული ეგრეთწოდებული „განსხვავებული მოსაზრება“, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს „თანხვედრ მოსაზრებას“ სადაც მითითებულია, რომ წევრები „სრულად ვიზიარებთ გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთების ნაწილს, რომელზეც კომისიის თერთმეტივე განხილვის წევრი ერთხმად შეთანხმდნენ, თუმცა გვაქვს განსხვავებული მოსაზრება შედეგთან (გამოყენებულ პასუხისმგებლობის ფორმასთან) დაკავშირებით,“, „... მოცემულ დისციპლინურ საქმეში უნდა გამოყენებულიყო უფრო მკაცრი პასუხისმგებლობის ფორმა - საადვოკატო საქმიანობის უფელების შეჩერება“. აღნიშნული ტექსტის შინაარსობრივი განმარტება ცხადყოფს, რომ კომისიის აღნიშნული წევრები თანხმდებიან და იზიარებენ კომისიის ძირითადი გადაწყვეტილების შედეგს და დამატებით აღნიშნავენ, მათი „მოსაზრება“ გამომდინარეობს სურვილიდან, რომ პასუხისმგებლობის უფრო მძიმე ზომაზეც იყვნენ თანახმა. შესაბამისად, ამ თვალსაზრისითაც, სასამართლოსთვის ცალსახაა, რომ საქმეში არსებული მოსაზრება გადაწყვეტილების შედეგის დადასტურებაა. თანხვედრი მოსაზრების ავტორები არ ეთანხმებიან დისციპლინური სახდელის ზომას და ითხოვენ უფრო მძიმე სახდელს. მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ განსხვავებული მოსაზრებით დაფიქსირებული პასუხისმგებლობის ზომა თავის თავშიც კი მოიაზრებს ძირითადი გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ ზომას და მის უფრო

დამძიმებას გულისხმობს, რაც რაციონალურადაც ვერ მიიჩნევა საწინააღმდეგო პოზიციად.

25. პალატა მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფზე, რაც ავალდებულებს სასამართლოს დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, თუმცა იგი არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად *(იხ. „ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ," #7932/03; Va№ de Hurk v. №etherla№ds, par.61, Garcia Ruiz v. Spai№ [GC] par.26; Jah№ke a№d Le№oble v Fra№ce (dec.); Perez v Fra№ce [GC], par. 81).*

26. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადისციპლინო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ ადვოკატ ნ. ჯ-ის მიერ დარღვეულია **„ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა" პუნქტის, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ა. და ბ. ქვეპუნქტების „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის" მე-4 მუხლი პირველი პუნქტის, მე-5 მუხლის, მე-8 მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-8 მუხლის მე-15 პუნქტის** მოთხოვნები.

27. სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ ზოგადად, დოქტრინის მიხედვით, ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დადების მიზანია საზოგადოების დაცვა, სამართლებრივი სისტემის მთლიანობის დაცვა, მართლმსაჯულების სამართლიანად უზრუნველყოფა და სხვა ადვოკატების მსგავსი გადაცდომისგან შეკავება *(მაგ., Gillette v. Edison, 593 F. Supp. 2d 1063, 1066 (D.N.D. 2009)).*

28. პალატა იზიარებს ეთიკის კომისიის მოსაზრებას, რომ ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულების პროცესის მონაწილეს, განსაკუთრებული ვალდებულება აქვს, იზრუნოს პროფესიულ რეპუტაციაზე და პროფესიის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის გაძლიერებაზე. ადვოკატი უნდა იყოს მისაბაძი პირი, ვინც კანონიერების, თანასწორობის, შემწყნარებლობის პრინციპებს უწევს პროპაგანდას.

29. ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ კანონის მე-5-მე-9 მუხლებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის, ამავე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის. ამავე კანონის 34-ე მუხლი ითვალისწინებს ადვოკატის მიმართ დისციპლინური სახდელის სახეებს, რომელთა შორის არის გაფრთხილება.

30. პალატას მიაჩნია, რომ დისციპლინური საქმის მასალები გამოკვლეულია ობიექტურად და დავა გადაწყვეტილია არსებითად სწორად. ნ. ჯ--ს მიერ დარღვეულია "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონისა და „ადვოკატთა

პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნები. შესაბამისად, ადვოკატის ქმედებას მართებულად მიენიჭა დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაცია. სადისციპლინო პალატა ასევე იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივაციას ადვოკატისათვის დაკისრებული სახდელის - გაფრთხილებასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ დისციპლინური სახდელის შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა დისციპლინური გადაცდომების შინაარსი, სიმძიმე და დაკისრებული სახდელი ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის შესაბამისია.

31. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს ადვოკატ ნ. ჯ--ს საჩივრის დაკმაყოფილებისა და სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[61] მუხლით, 75[62] მუხლით, 75[63] მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, 75[64] მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ადვოკატ ნ. ჯ--ს საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2.უცვლელად დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2025 წლის 11 მარტის №016/24 გადაწყვეტილება;
3. გადაწყვეტილების ასლები გაეგზავნოთ მხარეებს;
4. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე **ბადრი შონია**

მოსამართლეები: **თეა ძიმისტარაშვილი**

ლევან ნემსაძე